**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# გორმაღალი

გორმაღალი, მთა მდინარეების ვეზურისა (ჯეჯორის მარჯვ. შენაკადი) და კოზისწყლის (ღარულის სათავე) წყალგამყოფ ქედზე, ჯავის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 3187 მ. აგებულია ქვედაცარცული კირქვებით, მერგელებითა და ქვიშაქვებით. აქვს კლდოვანი, ციცაბო კალთები, რ-ებზეც განვითარებულია რელიეფის მყინვარული ფორმები. მცენარეულ საფარს თითქმის მთლიანად მოკლებულია.

***ს. ნემანიშვილი***